



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2011 წლის 26 ივნისის № 703
დადგენილებით

მოდიფიცირებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2013 წლის 8 ოქტომბრის
N984 დადგენილებით

კვების წარმოების მანქანების ოპერატორი (040954)

Operator of food production machines (040954)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: კვების წარმოების მანქანების ოპერატორი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კვების წარმოების მანქანების ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ)

სულ 1500 საათი, აქედან:

36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (მათ შორის: ა) 90 საათი- დამოუკიდებელი მუშაობისათვის; ბ) ტესტირებებისა და გამოცდისთვის - 8 სთ თვითული საგნისათვის).

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის კვების წარმოების მანქანების ოპერატორი, რომელსაც შეუძლია საწარმოს ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების, აგრეთვე მზომი-მაკონტროლებელი ხელსაწყოების ოპერატორული მართვის, ექვპლოატაციისა და სარემონტო სამუშაოების შესრულება, სათანადო ცოდნის გამოავლინება წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად.

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა. აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის კვების საწარმოთა ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, აქვს მოწყობილობების ფუნქციონირების დანიშნულების, სტრუქტურული და კინემატიკური აგებულების ცოდნა, მარტივი კინემატიკური და ძალოვანი გაანგარიშებების ჩვევები და აცნობიერებს ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ღონისძიებებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები.	შეუძლია კვების საწარმოთა მანქანა-აპარატების ოპერატორული მართვის, ექსპლუატაციისა და სარემონტო სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოავლინოს სათანადო ცოდნა წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.	შეუძლია კვების მრეწველობის დარგში სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების მიხედვით გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და ჩაატაროს სათანადო ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კვების საწარმოთა მოწყობილობების ტექნიკოსის პროფესიულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიული ინფორმაციის დამუშავება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა-განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში	შეუძლია დამოუკიდებლად შეისწავლოს კვების საწარმოთა მოწყობილობების კონსტრუქციული და კინემატიკური აგებულება, ასევე აწარმოოს მანქანების ტენოლოგიური, კინემატიკური და ძალოვანი გაანგარიშებები
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება კვების საწარმოთა მოწყობილობების ტექნიკოსის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.

VIII. დასაქმების სფერო:

კვების წარმოების მანქანების ოპერატორის პროფესიული საქმიანობის სფეროს განეკუთვნება კვების მრეწველობის საწარმოები, სერვის-ცენტრები, მცირე ბიზნესის გადამამუშავებელი საწარმოები.

IX. სწავლის შედეგების რუქა:

საგნები	კოდი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მეწარმეობის საფუძვლები	BAOEN05	X	X	X			
ინგლისური ენა	ENG4P07	X	X		X		
ინფორმატიკა	INF1P08	X	X		X		
კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები	PTTFP05	X	X	X	X	X	X
კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების ავტომატური მართვა	PACEP05	X	X	X			X
კვების საწარმოთა მოწყობილობების სერვისი	PSEFP05	X	X	X			X

X. სასწავლო გეგმა

I სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კოდი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
მეწარმეობის საფუძვლები	BAOEN05	5	30/30				6/2	57	125
ინგლისური ენა	ENG4P07	5	60				6/2	57	125
ინფორმატიკა	INF1P08	5	60				6/2	57	125
კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები (I ნაწილი)	PTTFP05	9	15/15	30	60	70	6/2	27	225
კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების ავტომატური მართვა (I ნაწილი)	PACEP05	6	15/15	30	45	30	6/2	7	150
სულ I სემესტრში		30	240	60	105	100	40	205	750

II სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კოდი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები (II ნაწილი)	PTTFP05	12	30/30	45	90	75	6/2	22	300
კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების	PACEP05	6	15/15	15	45	45	6/2	7	150

ავტომატური მართვა (II ნაწილი)									
კვების საწარმოთა მოწყობილობების სერვისი	PSEFP05	12	30/30	45	90	75	6/2	22	300
სულ II სემესტრში		30	150	105	225	195	24	51	750
სულ:		60	390	165	330	295	64	256	1500

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას
- სასწავლო პრაქტიკას
- ტესტების ჩაბარებას
- გამოცდების ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებითი შეფასებად ჩაითვალოს:

- (A) – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 % და მეტი;
- (B) – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 % ;
- (C) – კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 % ;
- (D) – დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 %;

- (E) – საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %
უარყოფით შეფასებად ჩაითვალოს:
- (FX) – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 %, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა ჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) – ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 % და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე, შეფასება დაუშვებელია.

შეფასების ფორმა:

- შუალედური გამოცდა
- დასკვნითი გამოცდა

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- წერიტი დავალება
- ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;
პრაქტიკული მეცადინეობა;
ლაბორატორიული სამუშაო;
სასწავლო პრაქტიკა;
საწარმოო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ვერბალური, პრაქტიკული, ლაბორატორიული, ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი;

XIV. ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანურ რესურსების შესახებ

პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მეოთხე ან მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კოდი	კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
BAOEN05	მწარმოების საფუძვლები	გიორგი მასისურაძე	ეკონომისტი
ENG4P07	ინგლისური ენა	თამარ ლოლუა	ინგლისური ენის სპეციალისტი
INF1P08	ინფორმატიკა	მზიანა ნიჟარაძე	ინჟინერ-ელექტრიკოსი (ელექტრო-გამომთვლელი მანქანები)
PTTFP05	კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები	ზურაბ ჯაფარიძე გივი გუგულაშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი სპეციალობით „კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები“ ინჟინერ-მექანიკოსი სპეციალობით „კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები“
PACEP05	კვების საწარმოო პროცესების და მოწყობილობების ავტომატური მართვა	გიორგი ბერუაშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი სპეციალობით „კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები“
PSEFP05	კვების საწარმოთა მოწყობილობების სერვისი	ზურაბ ჯაფარიძე გივი გუგულაშვილი გიორგი ბერუაშვილი	ინჟინერ-მექანიკოსი სპეციალობით „კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები“ ინჟინერ-მექანიკოსი სპეციალობით „კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები“ ინჟინერ-მექანიკოსი სპეციალობით „კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები“

XV. ინფორმაცია პროფესიულ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების წარმოების მანქანების ოპერატორის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

კვების წარმოების მანქანების ოპერატორის სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა - პრეზენტაციები და ვიდეოფილმები.

XVI. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა: იხ. დანართი 3

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

პროგრამის ხელმძღვანელი

ზურაბ ჯაფარიძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

მოდულიზებული სახით

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე,

ოქმი N1, 20. 09. 2013წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

გიორგი ძიძიგური